საზოგადოებრივი მოძრაობა დავითიანნი

გაიცანი აფხაზეთი
დაიცავი მემკვიდრეობა



ცოდნით ვიცავთ ჩვენი ქვეყნის
კულტურულ მემკვიდრეობას!

შესავალი

საზოგადოებრივი მოძრაობა „დავითიანნის“ საუნივერსიტეტო ოლიმპიადა “გაიცანი აფხაზეთი - დაიცავი მემკვიდრეობა“

საუნივერსიტეტო ოლიმპიადის მთავარი მიზანია გააერთიანოს, რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდა საქართველოს განსაკუთრებული მხარის - აფხაზეთის შემეცნებისა და სიღრმისეული შესწავლის ირგვლივ.შექმნილი შემოკლებული ისტორიული მასალა ემსახურება ახალგაზრდა თაობაში ისტორიული მეხსიერების გაღრმავებას, სამეცნიერო წყაროებზე დაფუძნებული უტყუარი ფაქტების გავრცელებასა და ჩვენი კულტურული იდენტობის დაცვას.

კრებულში წარმოდგენილია, როგორც აფხაზეთის ხუროთმოძღვრებისა და კულტურის შესანიშნავი ძეგლები, ისე უმნიშვნელოვანესი ისტორიული ფაქტები. აღნიშნული მასალა პროექტში ჩართულ სტუდენტებსა და დაინტერესებულ მკითხველს დაეხმარება ჩვენი განსაკუთრებული მხარის - აფხაზეთის მრავალმხრივ, კომპლექსურ შესწავლაში. ნაშრომის შემოკლებული ვერსიის შედგენისას გამოყენებული იქნა გამოჩენილ მეცნიერთა - **ჯემალ გამახარიას, ლია ახალაძისა და დაზმირ ჯოჯუას** ფუნდამენტური ნაშრომები, რომელთა ადაპტირებული და შემოკლებული სახით წარმოდგენაც უზრუნველყოფს მასალის მაღალ აკადემიურ სანდოობასა და აღქმის სიმარტივეს.

თავად მასალის შემოკლებულ ვერსიაზე იმუშავა “დავითიანნის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ახალგაზრდულმა კომიტეტმა “ **(ანა ჭკადუა ,თამარ ტაბატაძე,ანა მირიანაშვილი ,ლაშა ცუხიშვილი , მარიტა კენჭიაშვილი,გიორგი ოთიაშვილი ,მარიამ ჩახვაშვილი).**



მასალის შესავალი ნაწილი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა არის საქართველოს შემადგენლობაში, მდებარეობს ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთით, შავი ზღვის სანაპიროზე, მდინარეებს — ენგურსა და ფსოუს შორის. ფართობი შეადგენს 8.7 ათას კვ. კმ-ს, დედაქალაქი არის სოხუმი. ამჟამად აფხაზეთი ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ.

ქართული სახელმწიფოებრიობა, სულ ცოტა, 35-საუკუნოვან ისტორიას ითვლის. ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებიდან არსებული ძველი კოლხეთის სამეფო საქართველოს თანამედროვე ტერიტორიის მეტ ნაწილს მოიცავდა, მათ შორის მდ. ენგურიდან მდ. ფსოუმდე მდებარე მონაკვეთს ეთნიკური, პოლიტიკური, კულტურული თვალსაზრისით იგი მუდამ ქართულ სამყაროს მიეკუთვნებოდა და უძველესი დროიდან ქართველთა წინაპრებით იყო დასახლებული. აღნიშნული ტერიტორია უძველესი დროიდანვე უწყვეტად შედიოდა ერთიანი ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში ან იყო სხვადასხვა რჯულის დამპყრობელთა შემოსევების შედეგად დროებით დანაწევრებულ საქართველოში აღმოცენებული ცალკეული პოლიტიკური თუ ადმინისტრაციული ერთეულების — კოლხეთის / ლაზიკის / ეგრისის, აფხაზეთის / იმერეთის სამეფოების, ოდიშის / სამეგრელოს სამთავროს, მოგვიანებით კი — ქუთაისის გუბერნიის ორგანული ნაწილი. ასეთია ელემენტარული ჭეშმარიტება, რომელიც ცალსახადაა დადასტურებული ქართულ, ძველბერძნულ, რომაულ, ბიზანტიურ, აღმოსავლურ, ევროპულ, რუსულ ისტორიულ წყაროებსა და სამეცნიერო ლიტერატურაში.

ისტორიული კონტექსტი

აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორია უძველესი დროიდან **კოლხური სამყაროსა და კოლხეთის სამეფოს (აია)** განუყოფელი ნაწილია, რომელიც ქართული სახელმწიფოებრიობის აკვანად მიიჩნევა.

არგონავტების ლეგენდა: ანტიკური წყაროების (აპოლონიოს როდოსელი, აპიანე) მიხედვით, არგონავტების ლაშქრობა კოლხეთში, კერძოდ მდინარე ფაზისსა (რიონი)

და ქალაქ აიაში (ქუთაისი) ვითარდება. ლეგენდის თანახმად, ქალაქი **დიოსკურია (სოხუმი)** დიოსკურების — კასტორისა და პოლუქსის მიერაა დაარსებული.

კოლხეთის სიძლიერე და კულტურა: ძველი ბერძნული წყაროები კოლხეთს აღწერენ, როგორც მაღალგანვითარებულ, ოქროთი მდიდარ და ცივილიზებულ სახელმწიფოს, რომელსაც საკუთარი დამწერლობაც კი ჰქონდა (მინიშნება „კირბებზე“).

საზღვრები: ანტიკური მწერლების (ოვიდიუსი, სენეკა) და ქართული საისტორიო ტრადიციის („ქართლის ცხოვრება“) მიხედვით, კოლხეთის სამეფოს ჩრდილო-დასავლის საზღვარი აზოვის ზღვამდე აღწევდა. ლეონტი მროველის თანახმად, დასავლეთ საქართველო (ეგრისი) თარგამოსის ძეს, **ეგროსს** ერგო წილად.

ეთნიკური კუთვნილება და არქეოლოგია:

არქეოლოგიური გათხრები (მათ შორის სოხუმის მთაზე) ადასტურებს, რომ მთელ დასავლეთ საქართველოში, აფხაზეთის ჩათვლით, არსებობდა **ერთიანი კოლხური კულტურა**.

მეცნიერული დასკვნით, ამ კულტურის შემქმნელები იყვნენ ქართველური (მეგრულ-ზანური) ტომები.

ლინგვისტური მონაცემებიც (მაგალითად, სიტყვები: „მოლი“, „ტკოვ“, „კირბი“) მიუთითებს კოლხეთის მკვიდრთა ქართველურ წარმოშობაზე.

კოლხეთის სიძლიერესა და განვითარების მაღალ დონეზე საკუთარი ფულის არსებობაც მეტყველებს. ძვ. წ. VI-III საუკუნეებში კოლხეთის სამეფოში იჭრებოდა ვერცხლის მონეტები — „კოლხური თეთრი“, რომლის ნიმუშები სოხუმშიც არის აღმოჩენილი. „კოლხური თეთრი“ საერთაშორისო ვაჭრობაშიც გამოიყენებოდა, რაზეც მიუთითებს მისი ნიმუშების პოვნა ყირიმში, შუა აზიაში და სხვაგან. ქართული საისტორიო ტრადიციის თანახმად, ძვ. წ. III საუკუნის პირველი ნახევრიდან კოლხეთი/ეგრისი ქუჯის (ძვ. წ. 302-237) მეთაურობით ნებაყოფლობით ერთიანდება ქართლის სამეფოსთან. ამგვარად ყალიბდება ერთიანი ქართული სახელმწიფო, რომელსაც სათავეში ედგა მეფე ფარნავაზ I (ძვ. წ. 302-237) — ფარნავაზიანთა დინასტიის ფუძემდებელი. აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორია, სოხუმის ჩათვლით, ამ გაერთიანებული სახელმწიფოს ნაწილი იყო.

ეთნიკური ვითარება ახ. წ. I-VI საუკუნეებში

ანტიკური ავტორების ცნობები: * **სტრაბონი (I ს.) და პლინიუს უფროსი:** დიოსკურიას (სოხუმი) და ბიჭვინთას კოლხურ, ანუ ქართულ ქალაქებად მოიხსენიებენ. სტრაბონი ხაზს უსვამს სვანების (ქართული ტომი) დომინირებას დიოსკურიის მიდამოებში.

ფლავიუს არიანე (II ს.): აღწერს შავიზღვისპირეთს ტრაპიზონიდან ძველ ლაზიკამდე (ტუაფსემდე), როგორც ქართულ სამყაროს, რომელიც დაყოფილი იყო მცირე თემებად: **ლაზები, აფსილები, აბაზგები და სანიგები**.

კლავდიოს პტოლემაოსი (II ს.): თანამედროვე გაგრისა და სოჭის მიდამოებში ასახელებს **"სუანო-კოლხებს"** (სვან-კოლხებს), ხოლო მათ სამხრეთით — ლაზებს, მანრალებს (მეგრელებს) და ეგრისის მცხოვრებლებს. ამ ცნობას ამყარებს გაგრის რაიონში აღმოჩენილი ვერცხლის თასი ლაზთა მეფე ბაკურის (II ს.) ბერძნული წარწერით.

კოლხებისა და ლაზების იდენტიფიკაცია: V-VI საუკუნეების ავტორები (ანონიმი ავტორი, პროკოპი კესარიელი, იოანე ლიდე) ერთმნიშვნელოვნად აიგივებენ კოლხებს ლაზებთან. მათი განმარტებით, სოხუმიდან მდინარე ჭოროხამდე ადრე კოლხები ცხოვრობდნენ, რომელთაც მოგვიანებით ლაზები ეწოდათ.

აფსილ-აბაზგების ეთნიკური კუთვნილება: * რომაული და ბიზანტიური გენეალოგიური სქემები (ჰიპოლიტე რომაელი, ევსევი კესარიელი და სხვები) **აფსილებს, აბაზგებს, სანიგებსა და მისიმიელებს** განიხილავენ არა როგორც უცხო ეთნოსს, არამედ **კოლხთა/ლაზთა/ეგრთა (ქართველი წინაპრების) ორგანულ ნაწილად**.

- ✓ არცერთი ისტორიული წყარო ამ ტომებს თანამედროვე აფსუა-აფხაზების წინაპრებად არ მიიჩნევს.

ივანე ჯავახიშვილის დასკვნა: ქართული ისტორიოგრაფიის ფუძემდებელი, წყაროების ანალიზის საფუძველზე, ასკვნის, რომ კოლხეთის მოსახლეობა ქართველთა სამ შტოს ეკუთვნოდა: **ლაზ-მეგრელებს, აფსილ-აფხაზებსა და სვანებს**. ტერიტორიის დაყოფას მცირე სამთავრობოებად (აფსილეთი, აბაზგია და სხვ.) მეცნიერი რომაულ პოლიტიკას — "გათიშე და იბატონე" — უკავშირებდა.

ბიჭვინთა წარმოადგენს მნიშვნელოვან არქეოლოგიურ და ადრექრისტიანულ ცენტრს, რომლის დასახლება ქალაქის ზღუდეს სცდებოდა და ფართო ეკონომიკურ არეალს მოიცავდა. მრავალწლიანი არქეოლოგიური კვლევები ადასტურებს, რომ აქ ქრისტიანული ცხოვრება ინტენსიურად ვითარდებოდა და სამწყსოში შედიოდნენ როგორც რომაელი ჯარისკაცები, ისე ადგილობრივი მოსახლეობა.

ქალაქის შიგნით გამოვლენილია ერთმანეთზე დაშენებული სხვადასხვა დროის ეკლესიების ნანგრევები, რაც მიუთითებს IV–VI საუკუნეებში ქრისტიანული კულტის უწყვეტ არსებობასა და განვითარებაზე. უძველესი ეკლესია IV საუკუნის პირველ

ნახევარს განეკუთვნება, რაც ადასტურებს ბიჭვინთის ადრეულ ქრისტიანულ ცენტრად ჩამოყალიბებას.

IV საუკუნიდან ქალაქი ძლიერ ეკონომიკურ და დემოგრაფიულ აღმავლობას განიცდის, რასაც მოწმობს ნუმიზმატიკური მასალის სიმრავლე. მონეტების დიდი ნაწილი აღმოსავლეთ რომის იმპერიის ქალაქებშია მოჭრილი, რაც ბიჭვინთის მჭიდრო კავშირზე მიუთითებს ბიზანტიურ სამყაროსთან.

IV საუკუნის ბოლოს ქალაქი რამდენჯერმე განადგურდა, რის შემდეგაც ზოგიერთი ტაძარი აღარ აღდგენილა. მიუხედავად ამისა, VI საუკუნის დასაწყისში ცხოვრება კვლავ გამოცოცხლდა, თუმცა სპარსეთ–ბიზანტიის ომებმა კვლავ მძიმე ზიანი მიაყენა ქალაქს.

ქალაქის ზღუდის გარეთ და მის შემოგარენში აღმოჩენილი მრავალრიცხოვანი ადრექრისტიანული ტაძრები ადასტურებს, რომ ბიჭვინთა არა მხოლოდ ქალაქი, არამედ ძლიერი საეკლესიო ცენტრის მქონე რეგიონი იყო. აღმოჩენები ნათლად მიუთითებს ქრისტიანული თემის გავლენის ზრდასა და მოსახლეობის დემოგრაფიულ აღმავლობაზე

დასავლეთ საქართველო VIII საუკუნეში: ბრძოლა არაბობის წინააღმდეგ

არაბთა შემოსევა: VIII საუკუნის დასაწყისში, ეგრისის პატრიკიოსის, სერგი ბარნუკის ძის ღალატის შედეგად, მთელი დასავლეთ საქართველო (აფხაზეთის ჩათვლით) არაბების ხელში აღმოჩნდა.

ანაკოფიის ბრძოლა: 710-730-იან წლებში ქართლის ერისმთავარი **სტეფანოზ III** და მისი შვილები — **მირი და არჩილი** — ბიზანტიასთან კავშირში სათავეში ჩაუდგნენ ანტიარაბულ ბრძოლას. გადამწყვეტი შეტაკება მოხდა ანაკოფიის ციხესთან, სადაც ქართველებმა დაამარცხეს არაბები.

მურვან ყრუს ლაშქრობა (738 წ.): არაბთა სარდალმა მურვან იბნ მუჰამედმა (მურვან ყრუმ) ააოხრა ეგრისი, დაანგრია ცხუმი (სოხუმი) და მიადგა ანაკოფიას. ქართველებმა მირი და არჩილი მეფეების, ასევე აფხაზეთის ერისთავ **ლეონ I-ის** სარდლობით, ციხე დაიცვეს. ბრძოლაში მეფე მირი სასიკვდილოდ დაიჭრა.

სამეფო გვირგვინები და აფხაზეთის სტატუსი:

ბიზანტიის იმპერატორმა ლეონ III-მ მირისა და არჩილის დამსახურება დააფასა და მათ სამეფო გვირგვინები გამოუგზავნა: მირს — ეგრისის, არჩილს — ქართლის.

იმპერატორმა ლეონ I-ს აფხაზეთი (კელასურიდან იუბანამდე) მემკვიდრეობით გადასცა, თუმცა დაავალა ქართლის მეფეების პატივისცემა და მორჩილება.



ანაკოფია – „თავადი ციხეთა აფხაზეთისათა“

ანაკოფია (ფსირცხა), „მატიანე ქართლისაის“ მიხედვით „თავადი ციხეთა აფხაზეთისათა“, მდებარეობს დღევანდელი ახალი ათონის ტერიტორიაზე. VII–VIII საუკუნეებში იგი აბაზგთა საერისთავოს პოლიტიკური ცენტრი იყო. წერილობით წყაროებში ანაკოფია პირველად VIII საუკუნეში იხსენიება, მურვან-ყრუს ლაშქრობასთან დაკავშირებით. აფხაზთა სამეფოს ჩამოყალიბების შემდეგ ანაკოფია მის მთავარ ქალაქად იქცა და მნიშვნელობა არ დაუკარგავს დედაქალაქის ქუთაისში გადატანის შემდეგაც. ანაკოფიის ციტადელი IV–V საუკუნეებით თარიღდება, რაც მის ადრეულ სტრატეგიულ და ადმინისტრაციულ მნიშვნელობაზე მიუთითებს. ციხის ტერიტორიაზე გამოვლენილი ეკლესიები ადრექრისტიანულ ხანას მიეკუთვნება და ადასტურებს ქრისტიანობის ადრეულ გავრცელებას რეგიონში. არქეოლოგიური მასალა ძირითადად VII–XII საუკუნეებით თარიღდება და მიუთითებს დასახლების უწყვეტ არსებობაზე.

შუა საუკუნეებში ანაკოფია მნიშვნელოვანი ციხე-ქალაქი იყო: 1032 წელს იგი ბიზანტიელებმა დაიკავეს, 1074 წელს კი საქართველოს დაუბრუნდა. მოგვიანებით ციხე სხვადასხვა ძალის ხელში გადადიოდა — XIV–XV საუკუნეებში გენუელები, XVII საუკუნეში ლევან დადიანი, ხოლო XVIII საუკუნის დასაწყისში ოსმალები ფლობდნენ. XIX საუკუნეში აქ დაარსდა წმინდა პანტელეიმონის მონასტერი და ადგილი ცნობილი გახდა როგორც ახალი ათონი.

ანაკოფია წარმოადგენს ქართველ-აფხაზური კულტურული მემკვიდრეობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ძეგლს. იგი იყო აფხაზეთის პირველი დედაქალაქი და საქართველოს გაერთიანების შემდეგ ჩრდილო-დასავლეთის საზღვრის მთავარი საყრდენი. აღმოჩენილი გიორგი II-ის მონეტა ადასტურებს ანაკოფიის განსაკუთრებულ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას.

პოლიტიკური გაერთიანება და ნათესაობა:

მეფე არჩილმა თავისი ძმის, მირის ასული **გურანდუხტი** მიათხოვა ლეონ ერისთავს.ლეონ I-ს გადაეცა მირის კუთვნილი ეგრისის სამეფო გვირგვინიც. ამ აქტით ლეონ I გახდა ქართველი მეფეების ვასალი და სამეფო ოჯახის წევრი, რამაც საფუძველი ჩაუყარა დასავლეთ საქართველოს შემდგომ გაერთიანებას.

მოწამეობრივი აღსასრული: მეფე არჩილ II 744 წელს არაბებმა ქრისტიანობისთვის აწამეს. იგი ქართული ეკლესიის მიერ წმინდანად არის შერაცხული.

აფხაზეთის როლი ერთიანი საქართველოსა და დაშლის ხანაში

ერთიანი სახელმწიფოს სათავეებთან: აფხაზეთის სამეფო იყო ის ძალა, რომელმაც X საუკუნის ბოლოს გააერთიანა საქართველო. ბაგრატიონთა დინასტიას საფუძველი ჩაუყარა დასავლეთ საქართველოს (აფხაზთა) მეფე **ბაგრატ III-მ** (978-1014).

ერთგულება და მხარდაჭერა: აფხაზეთის საერისთავო და ისტორიული აფხაზები ქვეყნის მტკიცე დასაყრდენს წარმოადგენდნენ. მაგალითად, 1032 წელს ბაგრატ IV-ის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულებისას, მეფის მთავარი მოკავშირე აფხაზეთის ერისთავი **ოთაღო შარვაშიძე (ჭაჭას-ძე)** იყო.

მეფეთა ზრუნვა და რეზიდენციები: საქართველოს მეფეები (დავით აღმაშენებელი, თამარი, ლაშა-გიორგი) ხშირად ჩადიოდნენ აფხაზეთში საქმეების მოსაგვარებლად. თამარ მეფესა და ლაშა - გიორგის საზაფხულო რეზიდენცია **ცხუმში** (სოხუმი) ჰქონდათ.

ადმინისტრაციული დაყოფა: თამარის ეპოქიდან დასტურდება ორი ერთეული: **ცხუმის საერისთავო** (ამანელისძეთა) და **აფხაზეთის საერისთავო** (შარვაშიძეთა).

სამხედრო დამსახურება: ისტორიული აფხაზები ქართული ჯარის შემადგენლობაში მონაწილეობდნენ დიდგორის (1121), შამქორის (1195), ბასიანის (1203) და გარნისის (1225) ბრძოლებში.

საზღვრები და კულტურა: XIV საუკუნემდე საქართველოს ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი **ნიკოფსიამდე** (ტუაფსესთან) აღწევდა. რეგიონში მხოლოდ ქართული კულტურა ყვაოდა; აფსუა-აფხაზების კვალი ამ პერიოდის წყაროებში არ ფიქსირდება.

აფსილთა ქვიანი – წებელდა



წებელდა (აფსილთა ქვიანი) წარმოადგენდა ფართო ისტორიულ რეგიონს მრავალი დასახლებით, ციხე-სიმაგრითა და ნეკროპოლით. აქ აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა მიუთითებს ქრისტიანობის თანდათან გავრცელებაზე VII საუკუნემდე, როგორც სამარხების ინვენტარით, ისე დაკრძალვის წესით. წებელდაში და მის შემოგარენში გამოვლენილია V–VII საუკუნეების ადრებიზანტიური ეკლესიები, მათ შორის დარბაზული ნაგებობები ნართექსებით, ბაპტისტერიუმითა და ჯვრის ფორმის ემბაზიით.

რელიეფური ფილა აღმოჩენილია ისტორიული წებელდის ტერიტორიაზე, სოფელ მრამბაში, ადრექრისტიანული ტაძრის გათხრებისას. იგი ეკლესიის არქიტექტურულ დეკორს ეკუთვნოდა და რელიეფურად გადმოსცემს ადრექრისტიანულ სიმბოლოებსა და სიუჟეტურ სცენებს. მსგავსი ფილები გამოიყენებოდა საკულტო სივრცის ვიზუალური გამოკვეთასა და რელიგიური იდეების გადმოსაცემად. ნამუშევარი თარიღდება VI–VIII საუკუნეებით და ნათლად ასახავს ქრისტიანობის დამკვიდრებას აფსილეთის შიდა რეგიონებში, ასევე ადგილობრივი ხელოვნების კავშირს აღმოსავლეთ ქრისტიანულ სამყაროსთან.

სოხუმი (ცხუმი) და ევროპული კავშირები

სოხუმის კუთვნილება: XIII-XV საუკუნეებში სოხუმი სამეგრელოს (**ოდიშის**) სამთავროში შედიოდა. მას დადიანები (ევროპულ წყაროებში — **"ბენდიანები"**) მართავდნენ.

გენუელთა ფაქტორია: 1354-1475 წლებში სოხუმში მოქმედებდა გენუელთა სავაჭრო ფაქტორია. ლათინური წყაროები (მაგ. პეტრე გერალდი, 1330 წ.) სოხუმს მოიხსენიებენ როგორც **"ქვემო საქართველოს"** ქალაქს, სადაც ქართველები ცხოვრობდნენ.



მთიელთა ექსპანსია: XV საუკუნის შუა ხანებიდან (კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ) იწყება "ავოგაზების" (აფსუების) თავდასხმები სოხუმზე, რამაც ხელი შეუწყო გენუელთა ფაქტორიის გაუქმებას.

დაშლის პერიოდი (XV საუკუნის მეორე ნახევარი)

სამთავროების ჩამოყალიბება: საქართველოს ერთიანი სამეფოს დაშლის პროცესში, აფხაზეთის ერისთავი (**შარვაშიძე**) დადიანის, გურიელისა და გელოვანის გვერდით მონაწილეობდა პოლიტიკურ ბრძოლებში. 1463 წელს ჩიხორის ბრძოლის შემდეგ, მათ მხარი დაუჭირეს ბაგრატ VI-ის გამეფებას.

ვასალური კავშირი: XV საუკუნის ბოლომდე აფხაზეთი საქართველოს (ან იმერეთის) სამეფოს განუყოფელი ნაწილი იყო. ის ვასალურ დამოკიდებულებაში რჩებოდა სამეგრელოსთან, შარვაშიძე კი მუდამ დადიანის გვერდით იდგა.

საბოლოო დაშლა: 1490 წლისთვის საქართველო დე-ფაქტო დაიშალა რამდენიმე სამეფოდ და სამთავროდ, რასაც ხელი შეუწყო გარეშე მტრების (ოსმალები, ირანელები) ზეწოლამ და შიდა შუღლმა.

შუა საუკუნეების საქართველოში ქართული კულტურისა და მწიგნობრობის ცენტრს ეკლესია წარმოადგენდა. VI საუკუნეში ჩაეყარა საფუძველი სამონასტრო ცხოვრებას, რომელიც VIII საუკუნიდან **გრიგოლ ხანძთელის** მიერ ტაო-კლარჯეთში დაარსებულ მონასტრებში განსაკუთრებით აღორძინდა. აქ იქმნებოდა

ორიგინალური და თარგმნილი ლიტერატურა, ყალიბდებოდა ფერწერისა და კალიგრაფიის სკოლები.

„აფხაზთა“ სამეფოსა და ტაო-კლარჯეთის იდეოლოგიურ ერთობას ადასტურებს ის ფაქტი, რომ მეფე **დემეტრე II**-მ გრიგოლ ხანძთელი **უბისის** მონასტრის დასაარსებლად მიიწვია. „აფხაზთა“ მეფეების ინიციატივით დაარსებული ცენტრები (უბე, არმაზი, მარტვილი, ხოფი, მოქვი, წირქოლი, ხობი, სამწევრისი, ერედვი) მრავალი საუკუნის მანძილზე ქართული კულტურის უმნიშვნელოვანეს კერებად დარჩა.

ამ პროცესებს საფუძვლად დაედო „აფხაზთა“ სამეფოს პოლიტიკური და სარწმუნოებრივი დამოუკიდებლობა ბიზანტიისგან და ბრძოლა ერთიანი ქართული სახელმწიფოს აღდგენისთვის. „აფხაზთა“ სამეფოში მოღვაწეობდნენ გამოჩენილი ქართველი მოღვაწეები:

სტეფანე სანანოისძე (X ს. ჰიმნოგრაფი და მთარგმნელი, მოღვაწეობდა მარტვილში);

იოანე მინჩხი (აღდგომის საგალობლების ავტორი, სარგებლობდა გიორგი II-ის მფარველობით);

მეფე კონსტანტინეს დაკვეთით ქართულ ენაზე დაიწერა **„აფხაზთა მეფეთა დივანი“** (VIII-X სს. მატიანე).

„აფხაზთა“ სამეფოს ერთადერთი სახელმწიფო, საეკლესიო და სამწერლობო ენა იყო **ქართული**, რასაც მოღწეული ასომთავრული წარწერებიც ადასტურებს. ამ ფაქტს აღიარებდნენ მკვლევრები (მათ შორის აფხაზი ავტორებიც: ხ. ბჟაჟბა და დ. გულია), თუმცა მას გვერდს უვლიან თანამედროვე აფხაზი ისტორიოგრაფები. დ. გულიას დასკვნით, აფხაზები მუდამ ქართველებთან ერთად ცხოვრობდნენ საერთო კულტურით, ხოლო IX საუკუნის შუა ხანებიდან ქართული ენა იყო ღვთისმსახურებისა და საქმისწარმოების ერთადერთი ენა.

1. არქიტექტურული მემკვიდრეობა

აფხაზეთის ხუროთმოძღვრება ქართული კულტურული ფენომენის ნაწილია, რომელმაც გაიარა განვითარების გზა ანტიკური ხანიდან გვიან შუა საუკუნეებამდე.

საკულტო ნაგებობები: ტექსტში ნახსენებია ისეთი გრანდიოზული ტაძრები, როგორიცაა **ბედია** (ბაგრატ III-ის საძვალე), **მოქვი** (ლეონ III-ის აგებული) და **ბიჭვინთა**. ეს ტაძრები არ ყოფილა მხოლოდ ლოცვის ადგილი; ისინი წარმოადგენდნენ განათლებისა და პოლიტიკურ ცენტრებს. მიუხედავად ბიზანტიური გავლენისა (ე.წ. „ბიზანტიური ცივილიზაციის პარადიგმა“), აფხაზეთის ეკლესიები ინარჩუნებენ ქართული არქიტექტურის ავთენტურობასა და თვითმყოფადობას.

თავდაცვითი სისტემები: რეგიონი სტრატეგიულად უმნიშვნელოვანესი იყო, რასაც მოწმობს 70-ზე მეტი ციხე-სიმაგრე. მაგალითად, **ანაკოფიის ციტადელი** საუკუნეების მანძილზე იცავდა საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ საზღვარს, ხოლო **კელასურის ზღუდე** (ე.წ. აფხაზეთის დიდი კედელი) თავდაცვითი ნაგებობების მასშტაბურობაზე მიუთითებს.

საერო ნაგებობები: ლიხნის, ბედიისა და წებელდის სასახლეების ნანგრევები გვიჩვენებს იმ ეპოქის დიდებულთა (შარვაშიძეების, მარშანიების) ცხოვრების სტილს. განსაკუთრებულია **ბესლეთის ხიდი**, რომელიც X-XI საუკუნეების საინჟინრო ხელოვნების ნიმუშია და მასზე ამოკვეთილი ქართული წარწერა პირდაპირ კავშირშია გაერთიანებული საქართველოს პირველ მეფესთან, ბაგრატ III-თან.

2. წერილობითი კულტურა და ეპიგრაფიკა

წერილობითი ძეგლები ორ ძირითად ნაკადად იყოფა, რაც რეგიონის მრავალფეროვან წარსულს ასახავს:

ქართული ეპიგრაფიკა: VIII-XIX საუკუნეების 100-ზე მეტი წარწერა (ლაპიდარული, ჭედური, ფრესკული) ადასტურებს, რომ ქართული ენა იყო მმართველობის, წირვა-ლოცვისა და კულტურის უალტერნატივო ენა.

უცხოენოვანი კვალი: * **ბერძნული:** ძირითადად ადრეულ შუა საუკუნეებს (IX ს-მდე) უკავშირდება.

ლათინური: II-IV საუკუნეების წარწერები (მაგ. იმპერატორ ადრიანესა და ვალერიანუსის ხსენება) ადასტურებს რომის იმპერიის ძლიერ სამხედრო ყოფნას სებასტოპოლისსა (სოხუმი) და ბიჭვინთაში.

ოსმალური: XVI-XVIII საუკუნეების ფრაგმენტული წარწერები (სოხუმის ციხე, სოფ. ჭლოუ), რაც თურქული გავლენის პერიოდს ასახავს.

ხელნაწერები და სკრიპტორიუმები: მოქვისა და ბიჭვინთის სამონასტრო კერებში იქმნებოდა უნიკალური ქართული ხელნაწერები. მაგალითად, **მოქვის ოთხთავი** (1300 წ.) ცნობილია თავისი საუცხოო მინიატურებით. აქვე შეიქმნა **„აფხაზთა მეფეთა დივანი“**, რომელიც რეგიონის მმართველთა ქრონოლოგიურ მატიანეს წარმოადგენს.

3. *ნუმიზმატიკა და ეკონომიკური ისტორია*

მონეტები რეგიონის ეკონომიკური დამოუკიდებლობისა და საერთაშორისო კავშირების საუკეთესო მოწმეა.

ადგილობრივი ზარაფხანა: სოხუმში (ცხუმში) არსებობდა ზარაფხანა, სადაც იჭრებოდა **„ცხუმური თეთრი“** (იგივე „სებასტოპოლისის ასპრა“). მას ვამეყ I დადიანი ჭრიდა, რაც იმდროინდელი სამთავროს ეკონომიკურ სიძლიერეზე მიუთითებს.

ქართული და ბიზანტიური მონეტები: აფხაზეთში აღმოჩენილია გაერთიანებული საქართველოს მეფეების (ბაგრატ IV, გიორგი II, დავით აღმაშენებელი) მონეტები ბიზანტიურ მონეტებთან ერთად. ეს მიუთითებს იმაზე, რომ აფხაზეთი ჩართული იყო ერთიან ქართულ და შავიზღვისპირეთულ სავაჭრო-ეკონომიკურ სისტემაში.

საეკლესიო დანიშნულების ნივთები (ჭედური ხელოვნება)

ეს ჯგუფი მოიცავს ოქრომჭედლობისა და ჭედური ხელოვნების უნიკალურ ნიმუშებს, რომლებზეც დატანილი ქართული ასომთავრული წარწერები ისტორიული დოკუმენტების როლს ასრულებს.

ბედიის ოქროს ბარძიმი (999 წელი): ქართული ჭედური ხელოვნების შედევრი. იგი გაერთიანებული საქართველოს პირველმა მეფემ, **ბაგრატ III-მ** და მისმა დედამ, **გურანდუხტ დედოფალმა**, შესწირეს ბედიის ტაძარს. მასზე გამოსახულია მაცხოვარი, ღვთისმშობელი და მოციქულები.

საეკლესიო ხატები და ჯვრები:

ილორის წმ. გიორგის ხატები: ილორის ტაძარი განსაკუთრებული პატივით სარგებლობდა. აქ დაცული იყო აფხაზთა მეფის **ლეონ III-ის** (X ს.) ხატი და მოგვიანებით, **დავით VI ნარინისა** და ოდიშის მთავრების (მაგ. **ლევან II დადიანის**) მიერ შეწირული სიწმინდეები.

მოქვისა და ბიჭვინთის სიწმინდეები: აფხაზეთის კათალიკოსების — **ევდემონ ჩხეტიძისა** და **ეფთვიმე საყვარელიძის** მიერ შეწირული წინამძღვრიანი ჯვრები და ხატები მოწმობს, რომ ეს რეგიონი XVI-XVII საუკუნეებშიც ერთიანი ქართული საეკლესიო სამყაროს ნაწილი იყო.

წარწერების მნიშვნელობა: თითქმის ყველა ჭედურ ნივთზე ამოკვეთილია ქართული წარწერა, რომელიც გვაწვდის ინფორმაციას კტიტორთა (შემწირველთა) და ოსტატთა შესახებ. ეს ნივთები ადასტურებს, რომ აფხაზეთისა და ოდიშის (სამეგრელოს) პოლიტიკური და საეკლესიო ელიტა ერთიან კულტურულ და ენობრივ გარემოში მოქმედებდა.

არქეოლოგიური მასალა

არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალა აფხაზეთის ტერიტორიაზე ადამიანის ცხოვრების უწყვეტ კვალს ასახავს.

ქვის, ბრინჯაოსა და რკინის ხანა: აღმოჩენილი იარაღები, სამკაულები და საყოფაცხოვრებო ნივთები გვიჩვენებს, რომ ადრეული ხანიდანვე ეს რეგიონი ვითარდებოდა იმავე ტემპითა და კულტურული თავისებურებებით, რაც დამახასიათებელი იყო დასავლეთ საქართველოსა და მთლიანად კავკასიისათვის.

გენეტიკური მსგავსება: მეცნიერთა დასკვნით, აფხაზეთში მოპოვებული მასალა **გენეტიკურ მსგავსებასა და მჭიდრო კავშირს** ავლენს დანარჩენი საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებთან. ეს ნიშნავს, რომ მატერიალური კულტურის განვითარება არ ყოფილა იზოლირებული პროცესი.

შუა საუკუნეების არტეფაქტები: გათხრები ადასტურებს მდიდარ საქალაქო და სამონასტრო ცხოვრებას. მოპოვებული მასალა (კერამიკა, მინის ჭურჭელი, სამშენებლო დეტალები) ემთხვევა იმ პერიოდის საერთო ქართულ და ბიზანტიურ სტანდარტებს.

დრანდის ღვთისმშობლის ეკლესია (VIII ს.)



მდებარეობა: გულრიფშის მუნიციპალიტეტი, სოფელი დრანდა.

არქიტექტურული თავისებურებანი

ტაძარი ნაგებია აგურითა და რიყის ქვით. იგი წარმოადგენს **ოთხსაყრდენიან ჯვარგუმბათოვან** ნაგებობას. მისი არქიტექტურა ორი კულტურის სინთეზია:

ბიზანტიური გავლენა: ამ ტიპის ნაგებობები ფართოდ იყო გავრცელებული VI-VII საუკუნეების ბიზანტიაში.

ქართული ელემენტები: ხუროთმოძღვარმა გამოიყენა ქართული ხუროთმოძღვრებისთვის დამახასიათებელი დეტალები. კერძოდ, **მცხეთის ჯვრის** მსგავსად, საკურთხევლის თავზე აღმართული ნახევარწრიული უბეები პატარა თაღებით არის გადაბმული.

ისტორიული ცნობები

ვახუშტი ბაგრატიონი: დიდმა ქართველმა ისტორიკოსმა დრანდა დაახასიათა როგორც „გუმბათიანი, შვენიერი და დიდშენი“ ტაძარი. მისი ცნობით, აქ იჯდა

ეპისკოპოსი, რომლის სამწყსო კოდორსა და ანაკოფიას შორის მდებარეობდა, თუმცა მოგვიანებით, აფხაზთა (ტომების) შემოსევების გამო, საეპისკოპოსო კათედრა გაუქმდა.

დაზიანება და რესტავრაცია: 1637 წელს, ოსმალთა შემოსევისას, ტაძარი ძლიერ დაიწვა — ჩამოინგრა თაღი, განადგურდა ფრესკები, ხელნაწერები და საეკლესიო წიგნები.

რუსული პერიოდი: ღვთისმსახურება მხოლოდ 1871 წელს აღდგა. 1900 წელს რუსეთის სინოდმა ჩაატარა „რესტავრაცია“, რომლის დროსაც გუმბათი აამაღლეს, თუმცა ამ პროცესს ტაძრიდან ძვირფასეულობისა და მარმარილოს სამარხების გაქრობა მოჰყვა.

მხატვრობა და ეპიგრაფიკა

მიუხედავად მრავალი დაზიანებისა, ტაძარში შემორჩენილია ფრესკული მოხატულობის ფრაგმენტები:

- **უფლის სახება** გუმბათის თაღთან;
- **მიქაელ მთავარანგელოზის** გამოსახულება დასავლეთის კარის ზემოთ;
- **ხარების სცენის** ფრაგმენტი (დაჩოქილი ღვთისმშობელი).

ტაძარზე წერილობითი წარწერები (ეპიგრაფიკა) არ არის შემორჩენილი, თუმცა თავად ნაგებობა ქართულ-ბიზანტიური კულტურული ურთიერთობების უმნიშვნელოვანესი ძეგლია.

წმინდა სვიმონ კანანელის ტაძარი



მდებარეობა: ახალი ათონი (ისტორიული ანაკოფია).

მშენებლობის ეტაპები და არქიტექტურა

საწყისი პერიოდი: IV საუკუნეში მოციქულის საფლავზე ააგეს მცირე ეკლესია, რომელიც, სავარაუდოდ, ხის უნდა ყოფილიყო.

შუა საუკუნეები: მოგვიანებით აიგო თეთრი თლილი ქვის ტაძარი. მან არაერთი რესტავრაცია განიცადა, მათ შორის ყველაზე მასშტაბური — XIX საუკუნეში.

თამარის ხიდი



ბესლეთის (თამარის) ხიდი ღირებულია როგორც შუასაუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლი. ხიდზე ადრეული კვლევები დაიწყო 1935 წელს, როცა იოსებ აძინბამ აღმოაჩინა ქართული ასომთავრული წარწერა. მისივე მეშვეობით ხიდი საექსპედიციოდ გაწმინდა მცენარეული საფარისგან; 1939 წელს კი ხიდის პირველი რესტავრაცია ჩატარდა. ადგილობრივ არქეოლოგთა ცნობით, ხიდთან ახლომახლო აღმოჩენილი იქნა ორი დამატებითი თაღოვანი ხიდის ნანგრევი და გოგირდწყლების აბანოების ნაშთებიც, რომლებიც, სავარაუდოდ, ერთსა და იმავე არეალში XI–XII საუკუნეებით წინა კართან არის აგებული. აღნიშნული ნანგრევები 1934 და 1936 წლების წყალდიდობებმა მთლიანად დაანგრია.ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების გაგრძელება ორთოპირებული მდგომარეობის გამო შეუძლებელია, თუმცა აღმოჩენილი სტრუქტურების თვისებებით და გამოსახულებებით ხიდის ნაგებობას და მისასვლელ გზებს XI–XII საუკუნეებით ანიჭებენ.

ეპიგრაფიკა და წარწერები

ტაძარი საინტერესოა თავისი ეპიგრაფიკული მემკვიდრეობით, რომელიც რეგიონის მრავალფეროვან კავშირებზე მიუთითებს:

ქართული კვალი: ტაძარზე არსებული ქართული წარწერები, სამწუხაროდ, დღეს აღარ იკითხება, თუმცა მათი არსებობა ისტორიულად დადასტურებულია.

ბერძნული წარწერები: შემორჩენილია IX-X საუკუნეებით დათარიღებული რვა ლაპიდარული (ქვაზე კვეთილი) წარწერა.

გიორგი ჯიქეთის წინამძღვარი: სამხრეთ კედელზე, რელიეფურ ჯვარში ჩაჭრილია წარწერა, სადაც იხსენიება ჯიქეთის წინამძღვარი გიორგი. მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს ქვა თავდაპირველად საფლავის ეპიტაფია იყო და XII საუკუნეში, რესტავრაციისას, კედელში ჩააშენეს.

სხვა ისტორიული პირები: ბერძნულ გრაფიტოებსა და წარწერებში ფრაგმენტულად იკითხება სახელები: სისინე, ნიკოლოზი, მიქაელი, ადაროკე, ხარიტონი და ვინმე „დესპოტი“.

ბედიის სამონასტრო კომპლექსი, რომელიც ოჩამჩირიდან 25 კილომეტრში მდებარეობს, ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნიმუშია და საქართველოს ერთიანობის სიმბოლოს წარმოადგენს. ტაძარი X საუკუნის მიწურულს, დაახლოებით 999 წელს, გაერთიანებული საქართველოს პირველმა მეფემ, ბაგრატ III ბაგრატიონმა ააგო და იგი საეპისკოპოსო კათედრად აქცია. სამონასტრო ანსამბლი მოიცავს ღვთისმშობლის მიძინების ცენტრალურ ტაძარს, XIII-XIV საუკუნეების სამრეკლოსა და XVI საუკუნის ორსართულიან საეპისკოპოსო პალატას, რომელიც ანტონ ჟუანისძემ ააშენა. ტაძრის ინტერიერში შემორჩენილია ფრესკული მხატვრობის სამი ფენა (X-XI, XIII-XIV და XVI სს.), ხოლო ფასადებსა და საეკლესიო ნივთებზე დაცული 11 ქართული ასომთავრული წარწერა დეტალურად მოგვითხრობს ტაძრის მშენებლების, რესტავრატორებისა და ქტიტორების შესახებ. მათ შორის იხსენიებიან ხუროთმოძღვარი სვიმეონ გალატოზთუხუცესი, კათალიკოსი ნიკოლოზ გონგლიბაისძე, მეფე ბაგრატ III, კონსტანტინე ლხთიმერეთის მეფე და გიორგი დადიანი. ბედია საუკუნეების მანძილზე უმნიშვნელოვანესი კულტურულ-საგანმანათლებლო კერა იყო; დავით აღმაშენებლის დროს ბედიელ მღვდელმთავარს „ბედიელ-ალავერდელის“ წოდება მიენიჭა, რაც ქვეყნის ერთიანობას უსვამდა ხაზს, ხოლო მოგვიანებით აქ მდიდარი წიგნთსაცავი ჩამოყალიბდა, სადაც სამხრეთ საქართველოდან მოწვეული კალიგრაფები, მათ შორის გაბრიელ ლომსანიძე და ამბროსი კარგარეთელი მოღვაწეობდნენ. ტაძრის უძვირფასესი განძია ბედიის ოქროს ბარძიმი (999 წ.), რომელიც ქართული



ოქრომჭედლობის შედევრია და მასზე ბაგრატ III-ისა და გუარანდუხტ დედოფლის საქტიტორო წარწერაა ამოკვეთილი. დღეისათვის კომპლექსი მძიმე მდგომარეობაშია — სეპარატისტული რეჟიმის მიერ ჩატარებული „რესტავრაციის“ დროს განადგურდა ბაგრატ III-ის უნიკალური ფრესკა, თუმცა ბედია მაინც რჩება საქართველოს ისტორიული მთლიანობის უტყუარ მოწმედ, სადაც განისვენებს ქვეყნის გამაერთიანებელი მეფე ბაგრატ III. ბარძიმზე გამოქანდაკებული წმინდანებისა და მაცხოვრის გამოსახულებებთან მოთავსებულია გამოსახულების განმარტებითი ქართული წარწერები. ბარძიმის ზედა ნაწილში ამოკვეთილია ერთსტრიქონიანი ქართული ასომთავრული წარწერა, რომელიც მოგვითხრობს გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის, ბაგრატ III-ისა და გურანდუხტ დედოფლის მიერ ბედიის ტაძრისადმი ამ ძვირფასი ნივთის შეწირვის ამბავს.

ბარძიმთან კიდევ ერთი წარწერაა დაკავშირებული. ჯერ კიდევ XIX საუკუნეში ბარძიმს ასევე ბაჯაღლო ოქროსგან დამზადებული ფეხი — სადგარი ჰქონდა, რომელიც დაიკარგა. ბარძიმის ფეხზე ამოკვეთილი ქართული ასომთავრული წარწერა მოგვითხრობდა, რომ ოქროს ფეხი XVII საუკუნეში ბედიელი მიტროპოლიტის, გერმანე ჩხეტიძის დაკვეთით გაუკეთებიათ. როგორც ჩანს, ბედიის ბარძიმისთვის სადგარი ორჯერ შემოუძარცვავთ — პირველად XVII საუკუნეში, ხოლო მეორედ XIX საუკუნეში. ბარძიმის ზედა მრგვალი ფორმის ნაწილი — თასი, ამჟამად დაცულია საქართველოს ხელოვნების მუზეუმში.

მოქვის ღვთისმშობლის სახელობის საკათედრო ტაძარი,

რომელიც ოჩამჩირიდან 15 კილომეტრში მდებარეობს, X საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი ყველაზე ბრწყინვალე ნიმუშია. გთავაზობთ ტექსტის შინაარსს, რომელიც ასახავს ტაძრის ისტორიულ, კულტურულ და ეპიგრაფიკულ მნიშვნელობას:



დაარსება და არქიტექტურა

მოქვის ტაძარი წარმოადგენს დიდებულ სამნავიან გუმბათოვან ეკლესიას, რომელსაც თოთხმეტწახნაგოვანი გუმბათის ყელი ამშვენებს. ისტორიული ცნობების თანახმად, იგი **957-967 წლებში** ააგო აფხაზთა მეფე **ლეონ III**-მ და დააარსა იქ საეპისკოპოსო კათედრა. ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, მოქველი ეპისკოპოსის სამწყსო ტერიტორია მდინარეებს — კოდორსა და მოქვისწყალს შორის მდებარეობდა.

კულტურულ-საგანმანათლებლო კერა

მოქვი საუკუნეების მანძილზე იყო ქართული მწიგნობრობის მძლავრი ცენტრი, სადაც ხელნაწერებს ამრავლებდნენ და ანახლებდნენ.

მოქვის ოთხთავი (1300 წ.): ტაძრის სიძველეთაგან ყველაზე გამორჩეული ძეგლია. იგი დანიელ მოქველის თაოსნობით გადაიწერა და ბერი ეფრემის მიერაა მდიდრულად მორთული საუცხოო ორნამენტებითა და მინიატურებით.

ცნობილი მოღვაწეები: მოქვის კათედრაზე სხვადასხვა დროს მოღვაწეობდნენ გამოჩენილი საეკლესიო პირები: გრიგოლ მაგნისძე, აბრაამ მოქველი, ფილიპე ჩხეტიძე და ეფთვიმე საყვარელიძე (შემდგომში აფხაზეთის კათალიკოსი).

ეპიგრაფიკა და ფრესკული წარწერები

ტაძარი მდიდარი იყო ქართული წარწერებით, თუმცა მათი უმეტესობა დროთა განმავლობაში განადგურდა:

სამრეკლოს წარწერა: დღემდე შემორჩენილია XII საუკუნის წარწერა, რომელშიც ეპისკოპოსი გრიგოლი იხსენიება.

დაკარგული ისტორიული ცნობა: 1659 წელს იერუსალიმის პატრიარქმა დოსითეოსმა მოქვის მონასტერში ნახა ფრესკული წარწერა, სადაც ერთად იყვნენ დასახელებულნი **დავით აღმაშენებელი** და ბიზანტიის იმპერატორი **ალექსი კომნენოსი**. ეს ფაქტი მოწმობს, რომ დავითის ეპოქაში ტაძარი საფუძვლიანად შეუკეთებიათ და მოუხატავთ.

წარწერების განადგურება: XIX-XX საუკუნეების მკვლევრები (მაგ. თედო ჟორდანია) გულისტკივილით აღნიშნავდნენ, რომ რესტავრაციების დროს ქართულ წარწერებს მიზანმიმართულად შლიდნენ და აზიანებდნენ.

ლეონ III-ის ხატი

მოქვის სიძველეთა შორის განსაკუთრებულია ღვთისმშობლის ხატი, რომელიც მეფე ლეონ III-ის დაკვეთითაა შესრულებული. ხატზე ღვთისმშობელი ვედრების პოზაშია გამოსახული, ჩარჩო კი მორთულია წმინდანთა მინანქროვანი მედალიონებით. ხატის ქვედა არშიაზე არსებული ქართული ასომთავრული წარწერა პირდაპირ ადასტურებს მის კავშირს აფხაზთა მეფესთან.



ილორის წმინდა გიორგის ტაძარი. სოფ. ილორი, ოჩამჩირის მუნიციპალიტეტი, XI ს. I მეოთხედი.

ოჩამჩირიდან 3 კილომეტრის მანძილზე მდებარეობს სოფელი ილორი, რომლის შუაგულში აღმართულია XI საუკუნის I მეოთხედის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი — ილორის წმინდა გიორგის ეკლესია. იგი დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საეკლესიო ცენტრსა და სალოცავს წარმოადგენს. ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით: „ზღვის კიდეზედ... არს ილორის ეკლესია წმიდის გიორგისა... უგუმბათო, მცირე, მდიდარი და შემკული“.

ილორის ტაძარი აგებულია ადგილობრივი ფეოდალის, გიორგი გურგენისძის მიერ, რაზეც მოგვითხრობს ტაძარზე შემორჩენილი ერთ-ერთი წარწერა. აფხაზი ხელოვნებათმცოდნის, ა. კაციას სიტყვებით, ილორის ეკლესია დარბაზული ტიპის ნაგებობაა. პროპორციათა მოხდენილობითა და შესრულების ტექნიკური დონით იგი იმ ნაგებობათა წრეში ექცევა, რომელშიც კარგად იკვეთება შუა საუკუნეების საქართველოს ხუროთმოძღვრულ-მხატვრული მისწრაფებანი. იგი აფსიდით დასრულებული ერთნავიანი ნაგებობაა, რომელსაც ჩრდილოეთით, სამხრეთითა და დასავლეთის მხრიდან სხვადასხვა სახის მინაშენები აქვს. ეკლესია ნაგებია თლილი ქვის წყობით, მას აქვს კარები დასავლეთიდან და სამხრეთიდან, ხოლო შიდა სივრცე (ინტერიერი) განათებულია ექვსი სარკმლით.

ილორის ეკლესიის ფასადებზე დღემდე შემორჩენილია ქართული დამწერლობით შესრულებული ხუთი ლაპიდარული წარწერა, ხოლო მეექვსე წარწერა გადაშლილია და იკითხება მხოლოდ რამდენიმე გრაფემა. ფრესკული მოხატულობა აქ დაცული არ არის, რადგან ოდიშის მთავრის, ლევან II დადიანის მიერ შეკეთებული და მოხატული ილორის ეკლესია 1736 წელს დაწვეს ოსმალებმა. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, ტაძრის მოხატულობა მაშინ განადგურებულა. წარწერების მიხედვით, ეკლესია თავიდანვე წმინდა გიორგის სახელზე ყოფილა აგებული. ტაძრის ქტიტორები იყვნენ ადგილობრივი ფეოდალი გიორგი გურგენისძე, მთავარეპისკოპოსი გიორგი და მღვდელი გიორგი ქოჩოლავა. მშენებელთა შორის დასახელებულია გიორგი გალატოზი, საერო პირი მიქაელი და ა.შ.

ტაძრის დღევანდელი მდგომარეობა: რესტავრირებულია აფხაზეთში მოქმედი საოკუპაციო რეჟიმის პირობებში, რის შედეგადაც ტაძარმა დაკარგა ავთენტურობა დაადგეს ე.წ. რუსული გუმბათი, შეთეთრებულია როგორც ინტერიერი, ისე ექსტერიერი, რის შედეგადაც 6 ქართული წარწერიდან არცერთი აღარ იკითხება.

ილორის ბარძიმი (X ს.): ილორის ვერცხლის ბარძიმი XIX საუკუნის ბოლოს იპოვეს ილორის წმინდა გიორგის ეკლესიაში. გარეგნულად ძალიან წააგავს ბედიის ბარძიმს — ზედაპირი, ისევე როგორც ბედიის ოქროს ბარძიმისა, დაყოფილია თაღედებით რვა ნაწილად. თითოეულში მოთავსებულია წმინდანის ფიგურა. შუა თაღში გამოსახულია აღსაყდრებული მაცხოვარი მაღლა აღმართული მაკურთხებელი მარჯვენით, მარცხენა ხელში — სახარებით. გვერდით თაღედში გამოსახულია ქრისტესკენ გადახრილი მთავარანგელოზები მიქაელი და გაბრიელი ბარძიმითა და ფეშხუმით ხელში. ილორის ვერცხლის ბარძიმის პირს შემოსდევს ქართული ასომთავრული წარწერა. მისი ამჟამინდელი ადგილსამყოფელი უცნობია.



ილორის წმინდა გიორგის ხატი (1572-1582 წწ.):

შუა საუკუნეების ქართული ხელოვნების შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს. იგი ბედიელი მთავარეპისკოპოსის, კირილე ჟუანისძისა და ოდიშის მთავრის, გიორგი III დადიანის დაკვეთით არის დამზადებული. ხატზე აღბეჭდილია წმ. გიორგის პირველი სასწაულმოქმედების სცენა. იგი თავდაპირველად ბედიის მონასტერში დააბრძანეს, მაგრამ მალე ილორში გადაასვენეს. ხატი ცნობილი იყო სასწაულმოქმედებით (ხეიბართა განკურნება, უსინათლოთათვის თვალის ახილვა და ა.შ.). 1936 წელს ხატი საბოლოოდ დაიკარგა, თუმცა მისი ფოტო შენარჩუნებულია.გვ

ილორის წმინდა გიორგის ხატი (XVII ს. 60-70-იანი წწ.): ვერცხლის დასაკეცი, სამფრთიანი ხატი, რომლის წინანა ნაწილზე გამოსახულია წმ. თევდორე და წმ. დემეტრე. შიგნით გამოსახულია საომარ ტანსაცმელში გამოწყობილი წმინდა გიორგი, რომლის მარჯვნივ ვედრების ფორმაში გამოქანდაკებულია ბედიელი მიტროპოლიტი კირილე ჟუანისძე. ხატზე მოთავსებულია 15-სტრიქონიანი ქართული ასომთავრული წარწერა, რომელიც მოგვითხრობს ხატის შეწირვის ისტორიას. მასში ასევე იხსენიებიან გიორგი III დადიანი და დედოფალი თამარი. ამჟამად დაცულია ზუგდიდის მუზეუმში.



ბზიფის ეკლესია.



ბზიფის ტაძარი მდებარეობს ისტორიულ აფხაზეთში, ბზიფის ხეობაში და წარმოადგენდა ბზიფის ციხის კომპლექსის მნიშვნელოვან ნაწილს. ტაძარი აგებულია **IX საუკუნის მეორე ნახევარში**, იმ პერიოდში, როდესაც აფხაზეთის სამეფოში ქრისტიანობა სახელმწიფოებრივი იდეოლოგიისა და კულტურის საფუძვლად ყალიბდებოდა.

ტაძარი ფუნქციონირებდა **IX–X საუკუნეებში** და ემსახურებოდა როგორც ციხის გარნიზონს, ისე მიმდებარე დასახლებების მოსახლეობას. მისი არსებობა მიუთითებს ბზიფის ხეობის მნიშვნელოვან როლზე შუა საუკუნეების სატრანსპორტო და სამხედრო სისტემაში. ტაძრის აღმოსავლეთით აღმოჩენილი უფრო ძველი საეკლესიო ნაშთები მოწმობს, რომ ტერიტორია საკულტო დანიშნულებით გამოიყენებოდა **ადრეული შუა საუკუნეებიდან**.

დღეს ბზიფის ტაძარი მძიმე ფიზიკურ მდგომარეობაშია.

ლიხნის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი



ლიხნის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი მდებარეობს აფხაზეთში, გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნში. იგი აგებულია **X საუკუნის ბოლოს – XI საუკუნის დასაწყისში** და წარმოადგენდა შუა საუკუნეების აფხაზეთის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საეკლესიო ცენტრს.

ტაძარი მნიშვნელოვანი იყო როგორც **რელიგიური, ისე პოლიტიკური ცხოვრებისათვის**. **X–XI საუკუნეების მიჯნაზე** შესრულდა მისი პირველი მოხატულობა, ხოლო **XIV საუკუნეში** ტაძარი გადაკეთდა და ხელახლა მოიხატა, რაც მის უწყვეტ ფუნქციონირებაზე მიუთითებს.

ლიხნი **XVI–XVII საუკუნეებში** იქცა აფხაზთა სამთავროს პოლიტიკურ ცენტრად. ამ პერიოდში ტაძრის მახლობლად აიგო აფხაზეთის მთავართა სასახლე. **XIX საუკუნეში** სასახლე მნიშვნელოვნად გადააკეთეს.

ტაძარი ცნობილია **უნიკალური ეპიგრაფიკული მასალით**. აქ დაცულია ქართული და ბერძნული წარწერები, მათ შორის **1066 წლით დათარიღებული ჩანაწერი ჰალეის კომეტის გამოჩენის შესახებ**, სადაც მოხსენიებულია მეფე **ბაგრატ IV**. წარწერები შესრულებულია ასომთავრული და მხედრული დამწერლობით და წარმოადგენს მნიშვნელოვან ისტორიულ წყაროს.

გვიან შუა საუკუნეებში აფხაზეთში მიმდინარე ეთნო-პოლიტიკურმა პროცესებმა გამოიწვია ქრისტიანობის დასუსტება, რის შედეგადაც ტაძარი დაცარიელდა. **XIX საუკუნის დასაწყისში**, აფხაზეთის სამთავროს რუსეთის მფარველობაში შესვლის შემდეგ, ლიხნში გააქტიურდა მისიონერული საქმიანობა; ტაძარი აღდგა და **1852 წელს** აქ გაიხსნა პირველი სასულიერო სასწავლებელი.

1877 წლის რუსეთ–ოსმალეთის ომის დროს ტაძარმა დაზიანებები განიცადა, თუმცა **XIX–XX საუკუნეებში** კვლავ მოქმედი იყო. დღეს ლიხნის ტაძარი ოკუპირებულ ტერიტორიაზე მდებარეობს და მისი დაცვა და კვლევა შეზღუდულია.

აბაათას ეკლესია



აბაათას ეკლესია მდებარეობს აფხაზეთში, ძველი გაგრის ტერიტორიაზე, გაგრის (აბაათას) ციხის შიგნით. ციხე შუა საუკუნეებში აკონტროლებდა **გაგრიფშისა და ჟოაკვარას ხეობებს** და აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ მიმავალ მნიშვნელოვან გზებს, რის გამოც იგი სტრატეგიულად მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენდა.

ციხე-სიმაგრე **საუკუნეების განმავლობაში არაერთხელ დაინგრა და განახლდა**. ეკლესია აგებულია **VI საუკუნის მეორე ნახევარში** და წარმოადგენს **აფსილეთის ტერიტორიაზე ერთ-ერთ უძველეს ქრისტიანულ ტაძარს**. იგი ღვთისმშობლის სახელზეა ნაკურთხი და ადასტურებს ქრისტიანობის ადრეულ დამკვიდრებას რეგიონში.

XIX საუკუნის ბოლოს – XX საუკუნის დასაწყისში, პრინც ოლდენბურგის ინიციატივით ციხის ნაწილი დაანგრიეს და შიგნით სასტუმრო ააშენეს, რის შედეგადაც ძეგლმა მნიშვნელოვანი დაზიანებები განიცადა. ზღვისპირა გალავნის ნაწილი დროთა განმავლობაში ჩამოიშალა ზღვის ტალღების ზემოქმედებით.

დღეს აბაათას ეკლესია **არ ფუნქციონირებს**. იგი წარმოადგენს აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებულ ადრექრისტიანულ ძეგლს, რომლის ისტორიული მნიშვნელობა განსაკუთრებულია, თუმცა თანამედროვე პირობებში მისი დაცვა და კვლევა შეზღუდულია

ახალი ათონი



წმინდა მოციქულ სვიმონ კანანელის სახელობის ტაძარი მდებარეობს ახალ ათონში და წარმოადგენს საქართველოსა და მთელი კავკასიის ერთ-ერთ უძველეს ქრისტიანულ სიწმინდეს. ტაძარი აგებულია დაახლოებით **VII–VIII საუკუნეებში** და დაკავშირებულია ქრისტიანობის გავრცელებასთან ამ ტერიტორიაზე.

საეკლესიო გადმოცემის მიხედვით, მოციქული სვიმონ კანანელი იყო იესო ქრისტეს ერთ-ერთი მოციქული. მიიჩნევა, რომ იგი ქადაგებდა ქრისტიანობას შავი ზღვის სანაპიროზე და სწორედ ამ ტერიტორიაზე ეწამა. მისი მოწამებრივი აღსასრულის ადგილი გახდა წმინდა ადგილი, რის გამოც მოგვიანებით აშენდა ტაძარი.

ტაძარი საუკუნეების განმავლობაში იყო მნიშვნელოვანი სალოცავი და პილიგრიმობის ადგილი. შუა საუკუნეებში იგი მოქმედებდა როგორც რელიგიური ცენტრი და ახლოს მდებარე ანაკოფიის ციხესთან ერთად მნიშვნელოვან კულტურულ და სულიერ როლს ასრულებდა რეგიონში.

ოსმალთა ბატონობის პერიოდში ტაძარი დაზიანდა და გარკვეული დროის განმავლობაში მიტოვებული იყო. ქრისტიანული ცხოვრების განახლება ამ მხარეში იწყება **XIX საუკუნეში**, როცა **1875 წელს** ათონის მთიდან ჩამოსული ბერები ახალ ათონში მონასტერს აარსებენ. ამის შემდეგ ტაძარიც აღდგა და კვლავ დაიწყო ფუნქციონირება.

დღეს ტაძარი წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან რელიგიურ და ისტორიულ ძეგლს. იგი დაკავშირებულია მოციქულ სვიმონ კანანელის სახელთან და ითვლება მნიშვნელოვან სალოცავ ადგილად მართლმადიდებელი ქრისტიანებისთვის.

ვერიოვკინის მღვიმე



ვერიოვკინის მღვიმე მდებარეობს აფხაზეთში, გაგრის მუნიციპალიტეტში, არაბიკის კარსტულ მასივზე, ზღვის დონიდან დაახლოებით 2309 მეტრის სიმაღლეზე. იგი დღეს მსოფლიოში ყველაზე ღრმა მღვიმედ ითვლება.

მღვიმე აღმოაჩინეს **1968 წელს** კრასნოიარსკელმა სპელეოლოგებმა. თავდაპირველად იგი მონიშნული იყო სახელწოდებით **C-115**, მოგვიანებით კი **П1-7**. იმ პერიოდში კვლევებმა მღვიმის სიღრმე მხოლოდ დაახლოებით 115 მეტრამდე დაადგინა.

1983–1986 წლებში სპელეოლოგიურმა ექსპედიციებმა კვლევა გააგრძელეს და მღვიმის შესწავლილი სიღრმე 440 მეტრამდე გაიზარდა. **1986 წელს** მღვიმეს სახელი ეწოდა ტრაგიკულად დაღუპული სპელეოლოგის — ალექსანდრე ვერიოვკინის პატივსაცემად.

მღვიმის კვლევა გარკვეული პერიოდის განმავლობაში შეჩერებული იყო, თუმცა **2015 წლიდან** ექსპედიციები განახლდა. სწორედ ამ პერიოდიდან დაიწყო მისი ინტენსიური შესწავლა.

2017 წელს ექსპედიციამ მღვიმეში 2204 მეტრის სიღრმეს მიაღწია და ვერიოვკინის მღვიმე მსოფლიოში ყველაზე ღრმა მღვიმედ აღიარეს.
2018 წელს დამატებითი გაზომვების შედეგად სიღრმე 2212 მეტრამდე გაიზარდა.
2024 წელს ჩატარებული კვლევებით მონაცემები დაზუსტდა და მღვიმის ოფიციალური სიღრმე დაახლოებით 2209 მეტრად განისაზღვრა.

დღეს ვერიოვკინის მღვიმე მსოფლიო სპელეოლოგიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს აღმოჩენად ითვლება და მეცნიერებისთვის მნიშვნელოვან კვლევით ობიექტს წარმოადგენს.

კრუბერის მღვიმე



კრუბერის მღვიმე მდებარეობს აფხაზეთში, გაგრის მუნიციპალიტეტში, არაბიკის კარსტულ მასივზე, ბერჭილის ქედზე, ზღვის დონიდან დაახლოებით **2320 მეტრის სიმაღლეზე**. მრავალი წლის განმავლობაში იგი ითვლებოდა მსოფლიოში ყველაზე ღრმა მღვიმედ, თუმცა დღეს სიღრმით **მეორე ადგილზეა** ვერიოვკინის მღვიმის შემდეგ. მისი სიღრმე დაახლოებით **2190–2200 მეტრია**.

მღვიმე აღმოაჩინეს **1960 წელს**. მას სახელი ეწოდა რუსი გეოგრაფისა და კარსტოლოგის **ალექსანდრე კრუბერის** პატივსაცემად, რომელმაც XX საუკუნის დასაწყისში კავკასიის კარსტული რეგიონები შეისწავლა. სამეცნიერო ლიტერატურაში მღვიმე ასევე ცნობილია სახელწოდებით **„ვორონია“ (Voronya Cave)**.

კრუბერის მღვიმის კვლევა ეტაპობრივად მიმდინარეობდა. თავდაპირველად მხოლოდ ზედა მონაკვეთები იყო შესწავლილი, თუმცა მოგვიანებით საერთაშორისო სპელეოლოგიურმა ექსპედიციებმა კვლევები გააღრმავეს.
2000-იანი წლების დასაწყისში მღვიმეში ჩატარებულმა ექსპედიციებმა 2000 მეტრზე მეტი სიღრმე დაადგინა, რის შედეგადაც იგი მსოფლიოში ყველაზე ღრმა მღვიმედ აღიარეს. მოგვიანებით, ვერიოვკინის მღვიმის უფრო დიდი სიღრმის დადგენის შემდეგ, კრუბერის მღვიმე მეორე ადგილზე გადავიდა.მასში შეხვდებით მინიატურულ სტალაქტიტებს ანუ გამოქვაბულის თაღიდან სვეტებად ჩამოსული შვერილებს და სტალაგმიტებს ანუ წვეთებისგან შექმნილ წამონაზარდებს. ეს ყველაფერი არ არის, გამოქვაბულში ასევე არის წყლის ნაკადები და პატარა ტბები.

მღვიმე რთული და სახიფათო კვლევითი ობიექტია, რის გამოც მისი შესწავლა მხოლოდ სპეციალური სპელეოლოგიური ექსპედიციების მიერ ხდება.

XVI. წებელდის ეკლესიები. გულრიფშის მუნიციპალიტეტი

წებელდის წმ. თევდორეს ეკლესია, XI ს. წებელდის მიდამოებში, ჯერ კიდევ XIX საუკუნეში, რუსი არქეოლოგის, გრაფინია პრასკოვია უვაროვას მიერ აღმოჩენილ იქნა ტაძარი, რომელიც მოგვიანებით მოინახულა დ. ბაქრაძემ. ორივე მკვლევარმა აღწერა ეკლესიის შიგნით აღმოჩენილი წარწერა, რომელიც მიუთითებს, რომ ტაძარი თავიდანვე წმ. თევდორეს სახელზე იყო აგებული. იგი აშენებულია თლილი, მოჩუქურთმებული ქვებით, რომლებმაც XX საუკუნის 60-70-იან წლებში მკვლევართა ყურადღება მიიპყრო და ისინი სპეციალურად შეისწავლეს ხელოვნებათმცოდნეებმა რ. შმერლინგმა და ლ. ხრუშკოვამ. არქიტექტურული ფორმების პარალელებითა და ანალოგიების მოძიებით მათ დაასაბუთეს, რომ ეს ნიმუშები მსგავსებას პოულობენ აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს ქრისტიანული ხუროთმოძღვრების სხვა ნიმუშებთან.

წებელდის წმინდა გიორგის ეკლესია, XII-XIII სს. წებელდიდან აღმოსავლეთით 4 კმ-ზე, 1988 წელს რუსი არქეოლოგის ი. ვორონოვის მიერ გამოვლინდა ქრისტიანული ტაძრის ნანგრევები, რომელშიც აღმოჩნდა ტაძრის ერთ-ერთი სამშენებლო დეტალი შესაბამისი ქართული წარწერით. წარწერა მოგვითხრობს წმ. გიორგის ეკლესიის მშენებლობის შესახებ. წარწერის ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი და პალეოგრაფიული ანალიზის მიხედვით, იგი აგებული უნდა იყოს XII-XIII საუკუნეებში.

წებელდის წმინდა ეკატერინეს ხატი, XI ს. XIX საუკუნის 80-იან წლებში წებელდაში აღმოჩნდა დაზიანებული ხატი, რომლის ცენტრალურ ნაწილში მთელი სიმაღლით გამოსახულია წმ. ეკატერინე. ფოტოზე ხატის დაზიანების გამო წმინდანის ცალი ხელი ჩანს. წმ. ეკატერინეს ნიმბის ორივე მხარეს ამოკვეთილია გამოსახულების განმარტებითი წარწერა: „წ(მიდა)ჲ ეკ(ა)ტ(ე)რინე“. ხატის ქვედა ჩარჩოს კიდეზე ამოკვეთილია ორსტრიქონიანი, ქართული ასომთავრული წარწერა, შესრულებული ულამაზესი კიდურწ ისრული დამწერლობით, რომელიც მოგვითხრობს ხატის უცნობი ქტიტორის — წარჩინებული ქალბატონის — მარიამის შესახებ. ხელოვნებათმცოდნეობითი და პალეოგრაფიული ნიშნებით, წმ. ეკატერინეს ხატი XI საუკუნის ქართული ხელოვნების ნიმუშს წარმოადგენს.

წებელდის წმ. იოანე ნათლისმცემლის ხატი, XI ს. წებელდის ძველი ეკლესიის ნანგრევებში XIX საუკუნის 80-იან წლებში აღმოჩნდა ხატი, რომლის ჩარჩო მოოქროვილი ვერცხლისა ყოფილა. ხატის ცენტრალურ ნაწილში ფერწერით გამოსახული იყო იოანე ნათლისმცემელი, რომლის სახე დღეს ფოტოზე აღარ ჩანს. წმინდანი მარჯვნივ არის მობრუნებული და ხელი ვედრების ნიშნად ზემოთ აქვს აპყრობილი. ნიმბის ზედა მარჯვენა და მარცხენა კუთხეში მოთავსებულია წმინდანის

გამოსახულების განმარტებითი ქართული წარწერა — „წმიდაჲ იოანე“, ხოლო ხატის ქვედა ჩარჩოზე მოთავსებული წარწერა მოგვითხრობს საბა მალელის ძის შესახებ, რომელიც არის ხატის „მამკობი“ და ქტიტორი. ხელოვნებათმცოდნეობითი და პალეოგრაფიული ნიშნებით, იოანე ნათლისმცემლის ხატიც XI საუკუნის ქართული ჭედური ხელოვნების შედევრს წარმოადგენს.

წებელდის წმ. ანდრია მოციქულის ეკლესია და ხატი, XII ს. ქართული ხელოვნების შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს წმ. ანდრია მოციქულის სახელზე შეჭედილი ხატი, რომელიც მთლიანად ვერცხლისგან არის დამზადებული. დღეს შემორჩენილია ხატის რამდენიმე ფრაგმენტი, რომელზეც ამოკვეთილი ქართული ასომთავრული წარწერა მოგვითხრობს თამარ მეფის ეპოქის ცნობილი საზოგადო მოღვაწის, ერისთავთ-ერისთავისა და მეჭურჭლეთუხუცეს აბულასან იობის ძის შესახებ. აბულასან იობის ძის წინაპრები წარმოშობით დალი-წებელდის ხეობიდან ყოფილან, რისთვისაც აბულასანმა წებელდაში ანდრია მოციქულის სახელზე ტაძარი ააგო და შესწირა მას წმ. ანდრიას ხატი.

იოანე ოქროპირი
იოანე ოქროპირი IV–V საუკუნეების უდიდესი ქრისტიანი მამა, კონსტანტინოპოლის პატრიარქი და ცნობილი მქადაგებელი იყო. იგი სიცოცხლის ბოლოს გადაასახლეს და გადასახლების გზაზე, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე — დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარე კომანში — გარდაიცვალა (407 წელს). კომანი გახდა მისი გარდაცვალების ადგილი და წმინდა ადგილად მიიჩნევა. მოგვიანებით მისი ნეშტი კონსტანტინოპოლში გადაასვენეს, თუმცა ეს ადგილი ქრისტიანულ სამყაროში მნიშვნელოვანი სალოცავი გახდა.

ანტიკური ხანა და ბიზანტია: ციხესიმაგრის დაარსება რომაელებს უკავშირდება (ძვ.წ. I ს.), რომლებმაც მას **სებასტოპოლისი** უწოდეს. VI საუკუნეში იმპერატორმა იუსტინიანე I-მა ციხე ჯერ დაანგრია, შემდეგ კი (565 წელს) აღადგინა, რის შემდეგაც იგი ბიზანტიელთა საყრდენ პუნქტად იქცა.

არაბობა და ქართული სამეფოები: 738 წელს ქალაქი მურვან ყრუმ დაარბია. მოგვიანებით სოხუმი ეგრის-აფხაზეთის სამეფოს მნიშვნელოვანი საერისთავო ცენტრი გახდა. ერთიანი საქართველოს ძლიერების ხანაში (XI-XIII სს.) ქალაქი ყვავის, ერისთავთა რეზიდენცია კი **ბაგრატის ციხეში** გადადის.

გენუელები და დადიანები: XIV საუკუნიდან აქ იტალიელი (გენუელი) ვაჭრები მკვიდრდებიან. ამ პერიოდში სოხუმი ოდიშის ერისთავთა ხელშია. სწორედ აქ მოჭრა **ვამეყ I დადიანმა** მონეტა „ცხუმური თეთრი“.

ოსმალობა: XVI საუკუნიდან სოხუმი ოსმალების ხელში გადადის, რომლებიც მას სტრატეგიული მნიშვნელობის გამო „მეორე სტამბოლს“ უწოდებდნენ. 1724 წელს მათ

ციხე საფუძვლიანად განაახლეს და **სოხუმ-კალე** უწოდეს. XVIII საუკუნის ბოლოს იგი აფხაზეთის მთავართა რეზიდენციაა, თუმცა პარალელურად ტყვეებით ვაჭრობის პუნქტადაც იქცა.

რუსული პერიოდი: 1810 წელს ციხე რუსეთის ჯარებმა აიღეს, რაშიც მათ მხარს გიორგი შარვაშიძე უჭერდა. რუსული ოკუპაციის პერიოდში ნაგებობა რამდენჯერმე გადაკეთდა.

აფხაზეთში - მოღვაწე წმინდანები

საქართველოს ერთ-ერთ გამორჩეულად ლამაზ და ისტორიულად მდიდარ მხარეში, სადაც ღვთის მადლის უხვად გადმოდინების ცოცხალი მაგალითი თვით ხელთუქმნელი, თვალწარმტაცი ბუნებაა, უამრავი ღირსშესანიშნავი ადგილია. აქ არა მხოლოდ ქართული საეკლესიო კერები, არამედ, სრულიად მართლმადიდებლური სამყაროსთვის უმნიშვნელოვანესი სიწმინდეებია დავანებული. ამჯერად ყურადღებას გავამახვილებთ დიდი წმინდა მამის - იოანე ოქროპირის სარკოფაგზე, რომელიც სოფელ კომანშია დაბრძანებული.

წმინდა იოანე ოქროპირი კომანში გარდაიცვალა 407 წელს. მას დედოფალ ევდოქსიასგან ბიჭვინთაში გადასახლება ჰქონდა მისჯილი, მაგრამ ნაწამებმა მღვდელმთავარმა იქამდე ვერ მიაღწია და კომანში აღესრულა. გარდაცვალების წინ მას წმინდა ვასილისკო გამოეცხადა, გაამხნევა და ამცნო, რომ დადგა მისი უფალთან წარდგომის ჟამი. წმინდა იოანემ წარმოთქვა: "მადლობა ღმერთს ყველაფრისთვის" და ასე მიაბარა სული მაცხოვარს.

436 წელს იმპერატორმა თეოდოსიმ კონსტანტინოპოლში წმინდა იოანეს ნეშტის გადასვენება გადაწყვიტა, მაგრამ მისი უხრწნელი სხეულის კუბოდან ამოსვენება ვერ შეძლეს. მაშინ თეოდოსიმ წერილი გაუგზავნა წმინდა იოანეს, სადაც თავისი მშობლების (იმპერატორი დედოფალ ევდოქსიას შვილი გახლდათ) უსამართლობის გამო შენდობას სთხოვდა; როცა წერილი წმინდა მამას გულზე დაადეს, წმინდანის სხეული უკვე დაჰყვათ და იგი ახალ კუბოში გადაასვენეს. ძველი ქვის სარკოფაგი იქვე დარჩა და მისი შეხებითაც კი იკურნებოდნენ სნეულნი. წმინდა მოციქულმა ანდრიამ აფხაზეთში თავისი მესამე მოგზაურობის დროს იქადაგა. გადმოცემის თანახმად, იგი იქ სვანეთიდან და ოვსეთიდან (ქალაქ ფოსტაფორიდან) შევიდა.

ნიკეის I მსოფლიო კრებაზე (325 წ.) მონაწილეობდა პიტიუნტის (Πιτυοῦς) ეპისკოპოსი სტრატოფილე (Stratophilus / Στρατόφιλος) — შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე უძველესი ქრისტიანული ცენტრის, დღევანდელი ბიჭვინთა/პიცუნდას წარმომადგენელი. IV საუკუნეში არ არსებობდა ტერმინი

„აფხაზეთის ეპისკოპოსი“ თანამედროვე პოლიტიკური ან ეთნიკური მნიშვნელობით, რადგან ეპისკოპოსები იწოდებოდნენ ქალაქების მიხედვით; შესაბამისად, ისტორიულად სწორი ფორმაა „პიტიუნტის ეპისკოპოსი სტრატოფილე“. პიტიუნტი იმ ხანებში შედიოდა დასავლეთ საქართველოს (ეგრისის/ლაზიკის) საეკლესიო სივრცეში და ეკლესიურად დაკავშირებული იყო ქრისტიანულ აღმოსავლეთთან. სტრატოფილე მოხსენიებულია ნიკეის კრების მონაწილეთა ოფიციალურ სიებში და მონაწილეობდა არიანელობის დაგმობასა და ნიკეის სარწმუნოების სიმბოლოს ჩამოყალიბებაში, რაც ადასტურებს, რომ ქრისტიანობა დასავლეთ საქართველოში უკვე IV საუკუნის დასაწყისში სრულფასოვნად ორგანიზებული და მსოფლიო ეკლესიურ პროცესებში ჩართული იყო.

მთავარი პუნქტები აფხაზეთში:

სევასტია (დღევანდელი სოხუმი): წყაროებში აღნიშნულია, როგორც „სევასტე ქალაქი, რომელსაც აწ ეწოდება ცხუმი“. აქ მოციქულმა იქადაგა ღვთის სიტყვა, რომელიც ბევრმა ადგილობრივმა შეიწყნარა.

სვიმონ კანანელის დატოვება: სოხუმში (სევასტიაში) ანდრია პირველწოდებულმა თავისი თანამგზავრი, სვიმონ კანანელი, სხვა მოწაფეებთან ერთად დატოვა, თვითონ კი გზა ჯიქეთისკენ განაგრძო.**ანდრია პირველწოდებული**
ქრისტიანული ტრადიციის მიხედვით, ანდრია პირველწოდებული ქრისტეს ერთ-ერთი პირველი მოციქული იყო. ქართული საეკლესიო გადმოცემით, იგი ქადაგებდა ქრისტიანობას საქართველოს ტერიტორიაზე, მათ შორის აფხაზეთშიც. ითვლება, რომ მან შავი ზღვის სანაპირო რეგიონებში გაავრცელა ქრისტიანული სარწმუნოება, დააარსა ქრისტიანული თემები და საფუძველი ჩაუყარა ქრისტიანობის გავრცელებას დასავლეთ საქართველოში. ამიტომ ანდრია პირველწოდებული საქართველოს ეკლესიის ერთ-ერთ პირველ მქადაგებლად მიიჩნევა.

გამოყენებული ლიტერატურა

- ახალაძე, ლ. (2005). *აფხაზეთის ეპიგრაფიკა როგორც ისტორიული წყარო: I. ლაპიდარული და ფრესკული წარწერები*. თბილისი: ლოგოსი.
- ახალაძე, ლ. (2012). *აფხაზეთის მატერიალური კულტურის ძეგლები*. expertclub.ge.
- გამახარია, ჯ. (1991). *ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ისტორიიდან*. თბილისი.
- გამახარია, ჯ. (2005). *აფხაზეთი და მართლმადიდებლობა*. თბილისი.
- გამახარია, ჯ., გვანცელაძე, თ., ახალაძე, ლ., გოგია, ბ., ოქუჯავა, კ., ხორავა, ბ., & ჯოჯუა, დ. (2007). *ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან: აფხაზეთი*. თბილისი.